პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Министерства здравоохранения ГССР и Грузинского Республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-10 წელი

№ 8 (710). ოთხშაბათი, 27 იანვარი, 1954 წ. ფასი 30 კაპ.

ნაყოფიერად გამოვიყენოთ არდადეგების დღეები

რამდენიმე დღის წინათ დაიწყო სტუდენტთა არდადეგები. ეს პერიოდი მეტად მნიშვნელოვანია საბჭოთა სტუდენტების ცხოვრებაში. რამდენიმე თვის დაძაბული სწავლის შემდეგ ისინი აქტიურად დაისვენებენ, აღიდგენენ დახარჯულ ენერგიას და ახალი ძალით შეუდგებიან მეცნიერების მწვერვალების დაპყრობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა სისტემატურად ზრუნავენ სტუდენტთა აკადემიური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მათ სამსახურში აია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი ლაბორატორიები. წიგნადი ფონდით მდიდარი ბიბლიოთეკები, მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგიური პერსონალი, სპორტული ბაზები... სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან საერთო საცხოვრებლებით, სტიპენდიებით. არდადეგების დღეებში ისინი დაისვენებენ სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში. გაემგზავრებიან ექსკურსიებზე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში, გაეცნობიან ჩვენი სამშობლოს მოწინავე საწარმოებს, ფაბრიკა-ქარხნების სტახანოველთა, საკოლმეურნეო მინდვრების ნოვატორთა შრომას.

მიმდინარე წლის არდადეგების პერიოდში მრავალფეროვანი სპორტული ღონისძიებების ჩატარებაა განზრახული. მოსკოვში მოეწყობა შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობასა და ფარიკაობაში, ლვოვში — კლასიკურ ჭიდაობაში. ჭიდაობა სამბოში — ლენინგრადში, კრივში — ყაზანში, ფრენბურთში — ოდესაში, კალათბურთში — კიევში. გარდა საკავშირო შეჯიბრებებისა, განზრახულია შიდასაკოლექტივო შეჯიბრებების ჩატარება სპორტის სხვადასხვა სახეობაში. არდადეგების სპორტულ კალენდარში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სპორტის ზამთრის სახეობებს.

განსაკუთრებით საინტერესო ღონისძიებები გაიმართება ბაკურიანში. აქ დაიწყება სპორტული საზოგადოება „ნაუკის“ საკავშირო პირველობა. თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სპორტსმენებს განზრახული აქვთ მოაწყონ მრავალდღიანი სათხილამურო ლაშქრობა მარშრუტით: ბაკურიანი-ერევანი. ამას გარდა, ბაკურიანში შეიკრიბებიან უმაღლესი სასწავლებლების მოთხილამურეთა სექციის წევრები, სადაც ისინი კვალიფიციურ მწვრთნელთა ხელმძღვანელობით საწვრთნელ ვარჯიშს ჩაატარებენ.

როგორც ვხედავთ, მიმდინარე არდადეგები მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია. ეს კი სპორტულ საზოგადოებებსა და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრებს ავალებს ნაყოფიერად გამოიყენონ დროის მცირე მონაკვეთი. ყველა ღონისძიება ჩაატარონ მაღალი სპორტული დისციპლინის ნიშნით. ღონისძიებებში უნდა ჩავაბათ რაც შეიძლება მეტი სტუდენტი, უნდა მოვალწიოთ იმას, რომ თვითეულმა მონაწილემ მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი სპორტული შესაძლებლობა და მიაღწიოს მაღალ შედეგს, შეასრულოს სათანრიგო ნორმები სპორტის ამა თუ იმ სახეობაში.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ შეჯიბრებათა ორგანიზაციას — არც ერთი ღონისძიება არ უნდა მივაფუჩეჩოთ. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ შეჯიბრებაში იზრდება სპორტსმენი. აქ ყალიბდება მისი ხასიათი, იგი აქ იძენს საბჭოთა სპორტსმენისათვის დამახასიათებელ ჩვევებს — კოლექტიურობის, ამხანაგობის, სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულის გრძნობას, დიდი ოპერატიული მუშაობის ჩატარება მოუხდება უშუალოდ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრებს. პედაგოგიური ძალების აქტიური დახმარებით, ფიზკულტურულ-სპორტული აქტივის მობილიზებით მათ რაციონალურად უნდა გამოიყენონ არდადეგების ყოველი დღე.

მიმდინარე წელს თბილისისა და რესპუბლიკის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ადგილი ჰქონდა დამახინჯებებს: კათედრები მეცადინეობის დღეებში აწყობდნენ სხვადასხვა შეჯიბრებას, რის გამო სტუდენტები აცდენდნენ აკადემიურ საათებს. ეს კი იწვევდა სწავლაში ჩამორჩენას. ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მეტად საპასუხისმგებლო ამოცანები დგას იმ სტუდენტების წინაშე, რომლებიც არდადეგების დღეებს მშობლიურ სოფელში გაატარებენ. მათ ამ პერიოდში დიდი დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივ ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს, ჩამოაყალიბონ სპორტული სექციები, ჩაატარონ საჩვენებელი მეცადინეობები, წაიკითხონ ლექციები, მოხსენებები საბჭოთა სპორტის მიღწევებზე.

ახლა ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხეში დიდი მზადებაა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების სანიმუშოდ მომზადებისათვის. სტუდენტმა-სპორტსმენებმა თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ ამ საყოველთაო-სახალხო საქმეში. გარდა იმისა, რომ ისინი დაეხმარებიან ადგილობრივ საარჩევნო კომისიებს საარჩევნო უბნების გაფორმებაში, მათ აგრეთვე უნდა ჩამოაყალიბონ მხატვრული და სპორტული ბრიგადები ამომრჩეველთა კულტურული მომსახურებისათვის.

სპორტულმა საზოგადოებებმა, უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრებმა ახლა მთელი ყურადღება არდადეგების ნაყოფიერად ჩატარებაზე უნდა გადაიტანონ. იზრუნონ, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ ნაყოფიერი დასვენების ყოველგვარი პირობა, რათა შემდგომ წარმატებით იბრძოლონ სასახელო აკადემიური მაჩვენებლების მოპოვებისათვის, ჩვენი საყვარელი სამშობლოს სადიდებლად.

* * *

მსოფლიო რეკორდის დამტკიცება

საბჭოთა კავშირის საველოსიპედო სპორტის სექციამ ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირიდან მიიღო ცნობა საბჭოთა სპორტსმენის როსტისლავ ვარგაშკინის მიღწევის მსოფლიო რეკორდად დამტკიცების შესახებ ველოსიპედისტ-მოყვარულთათვის.

განვლილ ზაფხულს მოსკოვის „ნორჩ პიონერთა“ 400 მეტრიან ტრეკზე რ. ვარგაშკინმა 1.000 მ ადგილიდან დაფარა 1 წუთსა და 10,4 წამში, რითაც 0,2 წამით გააუმჯობესა იტალიელი ველოსიპედისტის მ. მორეტინის მსოფლიო რეკორდი.

საბჭოთა მოჭიდავენი მსოფლიოში უძლიერესნი არიან

შვეციის მოჭიდავეებს დიდხანს უძლიერესებად თვლიდნენ მსოფლიოში. მათს ღირსეულ მეტოქეებად მიაჩნდათ მხოლოდ თურქეთის სპორტსმენები და ზოგიერთი სახელმწიფოს ცალკეული წარმომადგენლები. მაგრამ ჯერ ჰელსინკის ოლიმპიურმა თამაშებმა, შემდეგ კი ნეაპოლის მსოფლიო ჩემპიონატმა კლასიკურ ჭიდაობაში, გააცამტვერა მითი შვეციის სპორტსმენთა უძლეველობის შესახებ. საერთაშორისო შეხვედრებში საბჭოთა სპორტსმენების ბრწყინვალე გამოსვლებმა მთელ მსოფლიოს აჩვენა ვინ უნდა ატარებდეს უძლიერესის სახელს.

თავიანთი სიძლიერე საბჭოთა ქვეყნის სპორტსმენებმა კიდევ უფრო დაამტკიცეს შვეციის მოჭიდავეებთან ამხანაგურ შეხვედრაში. ეს მოხდა შვეციის დედაქალაქ სტოკჰოლმის ერთ-ერთ უდიდეს სპორტულ დარბაზში „ერიკსდალსჰალენში“. საბჭოთა მოჭიდავეების გამოსვლებმა აალაპარაკა სტოკჰოლმის სპორტული საზოგადოებრიობა.

შეჯიბრება დაიწყო ქვესაშუალო წონის მოჭიდავეების ი. დადაშევის და ბერლინის გამოსვლით ქულებით გაიმარჯვა დადაშევმა. საშუალო წონაში საბჭოთა მოჭიდავემ სხირტლაძემ დაამარცხა მსოფლიოს ექსჩემპიონი კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში გრენბერგი. ქვემძიმე წონის მოჭიდავე კულაევმა (სსრკ) ქულებით მოუგო ოლიმპიური თამაშების პრიზიორს კლასიკურ ჭიდაობაში ნილსონს. მძიმე წონის მოჭიდავეთა კოტკასისა (სსრკ) და ფალკვისტის შეხვედრაში გაიმარჯვა საბჭოთა სპორტსმენმა.

უმჩატეს წონაში ცალქალამანიძემ დაამარცხა იუჰანსონი, რომელმაც ჰელსინკის ოლიმპიადაში მეექვსე ადგილი დაიკავა კლასიკურ ჭიდაობაში. მჩატე წონაში გოგიაძე დაამარცხა ოლიმპიურ თამაშებზე თავისუფალ ჭიდაობაში მეოთხე ადგილზე გამოსულმა ვესტერბიუმ. მსუბუქ წონაში რუნგემ (სსრკ) მოუგო მსოფლიო ჩემპიონს ანდერბერგს. კარტოზიამ (საშუალო წონა) დაამარცხა ლინდბლადი, ხოლო კანდელაკმა — მსოფლიო ჩემპიონი პალმი. მძიმე წონაში მეკოკიშვილმა გაიმარჯვა მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონთან ანტონსონთან.

საბჭოთა კავშირ-შვეციის მოჭიდავეთა ამხანაგურ შეხვედრაში ყოველ გუნდს გამოყავდა 16 მოჭიდავე, ორ-ორი ყოველ წონითს კატეგორიაში. უმჩატეს წონაში საბჭოთა სპორტსმენებმა კარაეევმა და ცალქალამანიძემ ორ-ორი გამარჯვება მოიპოვეს. მჩატე წონაში გამოდიოდნენ გოგიაძე და მაისურაძე. გოგიაძემ ერთი შეხვედრა მოიგო — ერთი წააგო. მაისურაძე გამარჯვებული გამოვიდა ორივე შეხვედრაში (იუგანსონს მან სუფთად მოუგო). ქვემსუბუქ წონაში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა დადაშევმა და დენიკოვმა ორ-ორი გამარჯვება მოიპოვეს. ორ-ორი გამარჯვებით აღინიშნა საბჭოთა კავშირის მოჭიდავეთა — გაბარაევისა და რუნგეს გამოსვლა მსუბუქ წონაში. აღსანიშნავია, რომ გაბარაევმა ორივე შეხვედრა სუფთად მოიგო და მათ შორის ერთი მსოფლიო ჩემპიონ ანდერბერგთან.

ქვესაშუალო წონაში ბალავაძემ ერთი შეხვედრა მოიგო, ერთი — წააგო. ი. დადაშევმა ამავე წონითს კატეგორიაში ორი გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

საშუალო წონაში ორი გამარჯვება მოიპოვა სხირტლაძემ, ერთი — კარტოზიამ. ქვემძიმე წონაში კანდელაკმა ორივე შეხვედრაში გაიმარჯვა. კულაევმა კი ერთ შეხვედრაში. მძიმე წონის მოჭიდავემ კოტკასმა დაამარცხა ფალკვისტი, მაგრამ წააგო ანტონსონთან მეკოკიშვილმა გაიმარჯვა ორივე შეხვედრაში.

რეკორდები სროლაში

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის მთავარმა სამმართველომ დაამტკიცა ახალი საკავშირო რეკორდები სროლაში.

საბრძოლო შაშხანიდან 300 მეტრიან დისტანციაზე სადუელო სროლაში წარმატება ხვდა წილად საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სპორტის ოსტატები ვ. ფროლოვი, ფ. პუზირი, ი. შაპოვალოვი, ვ. შპონგოლცი და ა. რუდაკოვი. 10 წამში გუნდმა გაირბინა 25 მეტრიანი დისტანცია, გატენა შაშხანა და დაახიანა „მოწინააღმდეგის“ ყველა სამიზნე. სასროლო სპორტის ამ რთულ სახეობაში საბჭოთა არმიის სპორტსმენებმა 0,4 წამით გააუმჯობესეს ძველი საკავშირო რეკორდი.

მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში 50 მეტრზე სპორტის ოსტატმა გ. კილდიშევამ 6 ქულით გააუმჯობესა ძველი საკავშირო რეკორდი. მან 600 შესაძლებლიდან 578 ქულა დააგროვა.

105,5 კილოგრამი გამართულ ხელებზე

კიევში, რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად მოეწყო ძალოსანთა საქალაქო შეჯიბრება, სადაც შესანიშნავი წარმატება ხვდა წილად ქვემსუბუქი წონის ახალგაზრდა სპორტის ოსტატს პ. კირშონს. მან ორი ხელით 105,5 კილოგრამი აჰმა.

ეს შედეგი 0,5 კგ აღემატება ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს, რომელიც დამყარებული იყო 1939 წელს იაპონელ ქუიტსუ ნანის მიერ.

ახალგაზრდა სპორტსმენმა რეკორდი მიუძღვნა ისტორიულ თარიღს — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს.

ამჟამად საბჭოთა ძალოსნებს 28 მსოფლიო რეკორდიდან ეკუთვნით 16.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

რუმინეთის უძლიერესი

ტანმოვარჯიშეები

ბუქარესტის სპორტულ დარბაზში „ფლორისკაში“ დამთავრდა პირადგუნდური შეჯიბრება რესპუბლიკის პირველობაზე სპორტულ ტანვარჯიშში.

ვაჟთა შორის ეს საპატიო ტიტული მესამეჯერ მოიპოვა სპორტის ოსტატმა ანდრო კერეკეშმა, რომელმაც ექვსჭიდში 110,60 ქულა დააგროვა. აღსანიშნავია, რომ კერეკეშმა პირველი ადგილი დაიკავა 5 იარაღზე.

ქალთა შორის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა პირველთანრიგოსანმა ელენე ლეუშტიანმა.

გუნდურ ჩათვლაში ვაჟთა შორის გაიმარჯვეს არმიელმა სპორტსმენებმა, ქალებში—ბუქარესტის დინამოელებმა.

შეჯიბრება ცურვაში

შვიდი ქვეყნის — პოლონეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ჰოლანდიის. დანიის, ბელგიისა და უნგრეთის მოცურავენი შეხვდნენ ერთმანეთს ბუდაპეშტის საწყლოსნო აუზში.

200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში წარმატება მოიპოვა (2·31,9) ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვალერია დენგემ (უნგრეთი) განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა შეჯიბრება 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში. ფინიშთან პირველი მივიდა უნგრელი სპორტსმენი უტაში. გამარჯვებულის დრო — 2.40,1 უნგრეთის ახალი რეკორდია.

შეჯიბრების მეორე დღე აღინიშნა ახალი რეკორდებით. ვაჟთა შორის 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში გაიმარჯვა პოლონელმა პეტრუსევიჩმა. მეორე ადგილზე გამოსულმა უტაშიმ (უნგრეთი) მანძილი დაფარა 1:12,6. ეს შედეგი უნგრეთის ახალი რეკორდია. ჭაბუკთათვის უნგრეთის რეკორდი გააუმჯობესა პაპმა (200 მეტრზე ბატერფლაის სტილით).

რესპუბლიკის ჩემპიონატი ჰოკეიში

ბერლინში მეხუთეჯერ მოეწყო რესპუბლიკის პირველობა შაიბიან ჰოკეიში. შეჯიბრებაში ჩაება 6 უძლიერესი კოლექტივი. რესპუბლიკაში ყველაზე ძლიერ გუნდად ითვლება „დინამო ვეისვასერი“, რომელმაც სამჯერ მოიპოვა ჩემპიონის საპატიო ტიტული.

პირველობა მოეწყო ვერდერ ზეელენბინდერის სახელობის სპორტული დარბაზის ხელოვნურ საციგურაოზე. ერთმანეთს შეხვდნენ „ეინჰეიტ ბერლინერ ბერის“ და „მოტორ-ტრეპტოვის“ გუნდები. გაიმარჯვა პირველმა ანგარიშით 6:2. რესპუბლიკის გასული წლის ჩემპიონმა „დინამო ვეისვასერმა“ ადვილად დაამარცხა მოწინააღმდეგენი „ეინჰეიტ ბერლინერ ბერი“ — 13:1, „მოტორ-ტრეპტოვი“ — 12:1, „ჰუმბოლდ-უნივერსიტეტი“ — 14:1.

ამას წინათ სვერდლოვსკის მახლობლად უკტუსკის მთებზე გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო შეჯიბრება თხილამურებით რბენაში, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ფინეთისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენები.

სურათებზე: (მარცხნივ) 15 კილომეტრზე რბენაში გამარჯვებული ფინელი მოთხილამურე ვ. ხაკი. (მარჯვნივ) ლენინგრადელი ვ. კუზინი, რომელმაც მოიგო რბენა 30 კილომეტრზე.

ფოტო ლ. დორინსკისა (საკდესი)

საქართველოს ალკკ XX ყრილობა

20-22 იანვარს თბილისში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (მთავრობის სახლი) მიმდინარეობდა რესპუბლიკის კომკავშირის XX ყრილობა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მ. გოგიჩაიშვილი.** მოსმენილ იქნა აგრეთვე სარევიზიო კომისიის ანგარიში.

როგორც კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში, ასევე დელეგატთა გამოსვლებში აღნიშნული იყო, რომ პარტიული დახმარებით და ხელმძღვანელობით საქართველოს კომკავშირი ნაყოფიერად წარმართავს ჭაბუკებისა და ქალიშვილების ენერგიას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პირნათლად შესრულებისათვის, კოლმეურნეობათა, მტსებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდები თავდადებით შრომობენ, ამრავლებენ სოციალისტური სოფლის დოვლათს.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა — თბილისის კომიტეტისა და რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივნებმა **ვ. სირაძემ** და **გ. ჟამიერაშვილმა** აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის მუშა ახალგაზრდობა ენერგიულად მუშაობს, ავლენს პატრიოტიზმის საუკეთესო ნიმუშებს, იჩენს ინიციატივას, მოწინავეთა რიგებში დგას.

ამასთან ერთად ყრილობამ აღნიშნა, რომ ზოგიერთი რაიონისა და საწარმოს ახალგაზრდობას კომკავშირული ორგანიზაციები არასაკმაოდ რაზმავენ, არ იბრძვიან თავიანთი კოლმეურნეობისა თუ საწარმოს მიერ გეგმების პირნათლად შესრულებისათვის, მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის.

ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო სკოლაში კომკავშირის მუშაობის საკითხებს. აღინიშნა, რომ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები უფრო აქტიურად მონაწილეობენ სკოლის ცხოვრებაში. ბევრგან კომკავშირელები სწავლასა და დისციპლინაში სანიმუშონი არიან. სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობა ახალი შინაარსით გამდიდრდა.

ამის მიუხედავად, როგორც ყრილობამ აღნიშნა, სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობას სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. დელეგატებმა — **გ. მახარაშვილმა** (გორის რაიკომის მდივანი), **ვ. ცხოვრებოვმა** (სტალინირის საქალაქო კომიტეტის მდივანი) და სხვებმა ხაზი გაუსვეს, რომ ბევრგან ჯერ კიდევ ადგილი აქვს ჩამორჩენას სწავლაში, აღმოფხვრილი არ არის მოსწავლეთა მიერ ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წესრიგის დარღვევის ფაქტები.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ვრცლად ილაპარაკეს უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაზე, ახალგაზრდობის კულტურულ, გონივრულ დასვენებაზე, კომკავშირის პოლიტგანათლების ქსელში არსებულ მდგომარეობაზე, შინაკომკავშირული მუშაობის მთელ რიგ საკითხებზე.

ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებს. მომხსენებელმა მ. გოგიჩაიშვილმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ამ საქმეში გარკვეული წარმატებები მოიპოვეს. ამჟამად საქართველოში არსებობს ფიზკულტურის 5.400-ზე მეტი ძირეული კოლექტივი, რომლებშიც გაერთიანებულია 280.000-ზე მეტი ფიზკულტურელი. მარტო გასულ წელს მომზადებულია I, II და III თანრიგის 17.000 სპორტსმენი და სსრ კავშირის სპორტის 35 ოსტატი. ბევრმა ჩვენმა სპორტსმენმა, აგრეთვე გუნდმა საპრიზო ადგილები დაიკავეს საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში.

— მაგრამ, — განაგრძო მომხსენებელმა, — ახალგაზრდობას შორის მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის განვითარებაში ჯერ კიდევ მეტად ბევრია ნაკლოვანება. მათგან ყველაზე სერიოზულია ის, რომ არაა ნამდვილი მასობრიობა. გორის ბამბეულის კომბინატის 2.000 ახალგაზრდა მუშიდან სპორტსექციებში მხოლოდ 35 მეცადინეობს. სპორტში მცირე რაოდენობით არიან ჩაბმულნი ახმეტის, დუშეთის, ყაზბეგის, გალის, ქობულეთის, ტყიბულის, დმანისის რაიონების ჭაბუკები და ქალიშვილები. ბევრი ფიზკულტურული კოლექტივი ფორმალურად არსებობს, არ ეწევა არავითარ მუშაობას.

მ. გოგიჩაიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ 1953 წელს ბევრგან არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადება. გასული წლის პირველი ნოემბრისათვის 27 რაიონში მშთ II საფეხურის არც ერთი ნიშნოსანი არ იყო მომზადებული. არ სრულდება თანრიგოსანთა მომზადების დავალება სპორტის ძირითად სახეობებში. ამ მხრივ ცუდად მუშაობენ ისეთი დიდი სპორტული საზოგადოებები, როგორიცაა „მედიკი“, „პიშჩევიკი“, „კრასნოე ზნამია“, „ბურევესტნიკი“, „კოლმეურნე“ და სხვ.

რესპუბლიკაში ძალზე ჩამორჩენილია მძლეოსნობა, რაც მძლეოსნურ სექციებში ახალგაზრდობის არასაკმაოდ ჩაბმის, მწვრთნელებისა და მასწავლებლების დაბალი კვალიფიკაციის, მეცადინეობისათვის საჭირო ბაზებისა და ინვენტარის ნაკლებობის შედეგია. ჩვენი წამყვანი სპორტსმენები ჯერ კიდევ ხალისით არ უზიარებენ ახალგაზრდებს თავიანთ მდიდარ გამოცდილებას. მძლეოსანთა მომზადებისათვის სუსტად მუშაობენ თბილისის სპეციალიზებული მძლეოსნური სკოლა, ბავშვთა სპორტული სკოლების მძლეოსნური ჯგუფები, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და სხვა რაიონების ფიზკულტურული და კომკავშირული ორგანიზაციები.

საქართველო წინა წლებში ცნობილი იყო თავისი შესანიშნავი ტანმოვარჯიშეებით. მაგრამ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკა სულ უფრო დაბალ მაჩვენებლებს აღწევს საკავშირო შეჯიბრებებში. 1953 წელს ტანმოვარჯიშე ბავშვთა გუნდმა საკავშირო ჩემპიონატში უკანასკნელი — მე-14 ადგილი დაიკავა. ტანმოვარჯიშეებს არადამაკმაყოფილებლად ამზადებენ სოხუმში, ბათუმში, თელავში, გორში, რუსთავში და სხვა ქალაქებში, აგრეთვე ფიზკულტურის ინსტიტუტში.

საანგარიშო მოხსენებაში ლაპარაკი იყო სპორტული ბაზების სიმცირეზე. რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ცოტაა არა თუ კარგად მოწყობილი, არამედ მარტივი სპორტული ნაგებობანიც კი. აი, უკვე რამდენიმე წელია ადგილიდან არ დაძრულა ლენინის სახელობის სტადიონის რეკონსტრუქცია. ასეთივე მდგომარეობაშია სტადიონის სასროლო ტირის გადაკეთება ზამთრის მძლეოსნურ ბაზად. უკვე მრავალი წელია მიმდინარეობს თბილისის „ნაუკისა“ და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სტადიონის მშენებლობა. საქართველოში არ არის ზამთრის ერთი სტადიონიც კი. უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობათა ზოგიერთი „თავგამოდებული“ თავმჯდომარისა და სამეურნეო მუშაკის მითითებით გადახნულია მრავალი მოედანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა ახალი ამოცანები დააყენა აგრეთვე სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის განვითარებაშიც. რესპუბლიკაში ამ ამოცანების შესრულებისათვის არიან მოწოდებულნი სპორტსაზოგადოებები „კოლმეურნე“ და „უროჟაი“, მაგრამ მათ მუშაობას სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს. ამაში მრავალი სასოფლო რაიონის კომკავშირული ორგანიზაციებიც არიან დამნაშავენი. „კოლმეურნის“ წევრი კოლმეურნე კომკავშირელთა მხოლოდ ნახევარია, 200 კოლმეურნეობაში შექმნილი არ არის ფიზკულტურული კოლექტივი. ფიზკულტურელ კოლმეურნეთა რიცხვი შემცირდა წალკის, გულრიფშის, ცაგერის, ლენინგორისა და ბევრ სხვა რაიონში. ამ სპორტსაზოგადოებათა სექციები და გუნდები უზრუნველყოფილი არ არიან კვალიფიციური მწვრთნელებით.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, საქართველოს პროფსაბჭომ და განათლების სამინისტრომ ჯერ კიდევ ვერ შეძლეს უზრუნველეყოთ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესება უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა, ტექნიკუმებისა და საშუალო სკოლების მოსწავლეთა შორის.

კომკავშირული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა სპორტსმენთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ უკანასკნელ ხანებში შესამჩნევი იყო ყოყოჩობის, ხულიგნობისა და სხვა დაუშვებელი ფაქტები. პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის სუსტად დაყენების, აგრეთვე ნაწილობრივ საკუთარი ძალების გადაჭარბებით შეფასების შედეგი იყო თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა წარუმატებლობა საერთაშორისო შეხვედრებში. უღირსად იქცეოდნენ სპორტის ოსტატები ჭკუასელი, ჯონჯოლიანი, ჯიმშელეიშვილი, ტრაპაიძე, გეგეშიძე და სხვები.

საჭიროა განვითარდეს ჯანსაღი კრიტიკა და თვითკრიტიკა სპორტსმენთა შორის, რაშიც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ახალგაზრდულმა გაზეთებმა და განსაკუთრებით გაზეთმა „ლელომ“.

მომხსენებელმა დაასკვნა, რომ რესპუბლიკის ახალგაზრდობაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების სერიოზული ნაკლოვანებების მიზეზია საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის მთავარი სამმართველოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მხრივ სუსტი ხელმძღვანელობა.

კამათის ბევრი მონაწილე შეეხო რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებს, აკრიტიკებდა ამ საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს. ლანჩხუთის რაიკომის მდივანმა **გ. მახარაძემ** აღნიშნა, რომ გაზეთი „ლელო“ სუსტად არის დაკავშირებული მკითხველებთან.

მახარაძის რაიკომის მდივანი **ზ. ბურჭულაძე** შეეხო ხელმძღვანელი ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობას. მან აღნიშნა, რომ ნაკლოვანებები ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობაში არის ძირეული კოლექტივებისადმი სპორტულ საზოგადოებათა მხრივ სუსტი ხელმძღვანელობის შედეგი. მათ არ იციან ადგილებზე რა კეთდება, რა დახმარებას საჭიროებენ, იშვიათად ჩამოდიან რაიონებში, არ ასრულებენ თავიანთ დაპირებებს.

— ჯერ კიდევ 1952 წლის ივლისში, — თქვა მან, — „კოლმეურნის“ რესპუბლიკურმა პრეზიდიუმმა მახარაძის რაიონს გამოუყო სახსრები სპორტული მოედნების მოსაწყობად. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა და დღემდე თანხების მხოლოდ ნაწილია გადმორიცხული.

სტალინირის საქალაქო კომიტეტისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივნებმა **ვ. ცხოვრებოვმა** და **პ. თედეევმა** განაცხადეს, რომ ქალაქსა და ოლქში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა გაუარესდა. უკანასკნელ წლებში სტალინირში არ ჩატარებულა არც ერთი სპორტული შეჯიბრება რესპუბლიკის მასშტაბით, სპორტის ოსტატები ოლქის ახალგაზრდობის წინაშე არ გამოდიან მიღწევების ჩვენებით. ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაშლას მნიშვნელოვნად აფერხებს ის გარემოება, რომ სპორტული დარბაზი, რომ არაფერი ვთქვათ რაიონებზე, თვით სტალინირსაც კი არ აქვს.

თბილისის ქალთა მე-3 სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა **ე. სოლნცევამ** დელეგატებს მოუთხრო სკოლის მოსწავლეთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საუკეთესოდ დაყენებაზე. აქ ნაყოფიერად მუშაობენ ფრენბურთის, ტანვარჯიშის, მძლეოსნობის სექციები.

ბაზების ნაკლებობას შეეხო თავის გამოსვლაში აგრეთვე [illegible] საოლქო კომიტეტის მდივანი კ. [illegible]. — შარშან, — განაცხადა მან, — ბათუმში თითქმის ყველა სპორტული საზოგადოების თავმჯდომარე ჩამოვიდა, დაპირებებით ყელამდე აგვავსეს და შემდეგ კი არაფერი გააკეთეს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ **თ. მაჩაბელმა** ილაპარაკა რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში მიღწეულ წარმატებებზე, დიდი ყურადღება დაუთმო არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა მხილებას.

— ეს ნაკლოვანებანი, — განაცხადა თ. მაჩაბელმა, — უწინარეს ყოვლისა, შეეხება სპორტის ისეთ წამყვან და მასობრივ სახეობას, როგორიცაა მძლეოსნობა. აი, უკვე რამდენიმე წელია ჩვენი რესპუბლიკის გუნდი საკავშირო შეჯიბრებებში იკავებს VIII-IX-X ადგილებს. ასევე შეიძლება ითქვას სათხილამურო სპორტის შესახებაც, თუმცა გაგვაჩნია ისეთი შესანიშნავი ბაზა, როგორიცაა ბაკურიანი.

ამ ნაკლოვანებათა მიზეზად ამხ. მაჩაბელმა მიიჩნია ის, რომ ჯერ კიდევ მიღწეული არ არის ნამდვილი მასობრიობა. ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები, განაცხადა მან, სრულიად არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის გადაწყვეტილებებს ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის საკითხებზე. ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმულია კომკავშირელთა მხოლოდ 40-45 პროცენტი. საყურადღებოა, რომ თბილისში, სადაც ამ მხრივ მდგომარეობა უკეთესი უნდა იყოს, მაჩვენებლები უფრო უარესია. რუსთავის 5.000 კომკავშირელიდან ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმულია მხოლოდ 1.500-მდე კაცი. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა ხაშურის, მაიაკოვსკის, ახმეტისა და სხვა რაიონებში.

გააკრიტიკა რა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის, ამხ. მაჩაბელმა მოიყვანა დამახასიათებელი მაგალითი. შარშან ცენტრალური კომიტეტის ბიურომ იმსჯელა თბილისის სპორტსმენთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. დადგენილებაში გათვალისწინებული იყო სპორტის ოსტატებისათვის სემინარების ჩატარება, კინოთეატრებში ფოტოგამოფენების, კუთხეების და სტენდების მოწყობა სპორტულ თემებზე, აგრეთვე პოლიტნაწილის დირექტორის მოადგილეების გამოყოფა სპეციალიზებულ მძლეოსნურ და სპორტულ სკოლებში. ეს ღონისძიებები ქაღალდზე დარჩა. ასევე არ განხორციელებულა საინტერესო ღონისძიება — სოფლის ფიზკულტურული კოლექტივების დათვალიერება-კონკურსის მოწყობა.

დასასრულ თ. მაჩაბელმა ილაპარაკა მთავარი სამმართველოს მუშაობის ნაკლოვანებებზე.

ყრილობაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. პ. მჟავანაძე.**

ყრილობამ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად, დაამტკიცა სარევიზიო კომისიის ანგარიში, მიიღო სათანადო რეზოლუცია და აირჩია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე საკავშირო ალკკ XII ყრილობის დელეგატები.

• • •

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა პლენუმმა ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია **თ. ჯანელიძე**, მეორე მდივნად — **ს. რიგვავა**, მდივნად კადრების დარგში **გ. კავთიაშვილი**, მდივნად პროპაგანდის დარგში **გ. ბანძელაძე**, მდივნად და პიონერთა და მოსწავლეთა შორის მუშაობის დარგში — **ნ. ვახაძე**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭაბუკ მოჭიდავეთა მოსამზადებელი ვარჯიში

მოსამზადებელ ვარჯიშს სპორტში დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი ხელს უწყობს მომეცადინეთა მრავალმხრივ განვითარებას, ორგანიზმს თანდათან აბამს მუშაობაში, ახურებს და მოქმედებაში შეჰყავს მამოძრავებელი აპარატი, უზრუნველყოფს ტექნიკური ელემენტების სწრაფ ათვისებას.

მოსამზადებელ ვარჯიშს განსაკუთრებული როლი ენიჭება ჭიდაობაში მომეცადინე ბავშვებისა და ჭაბუკებისათვის. ჯერ კიდევ ზრდადაუმთავრებელი ორგანიზმი ზღუდავს მისი უშუალოდ ჭიდაობით დატვირთვის საშუალებას, ვინაიდან ჭიდაობა მოითხოვს ძალღონის მნიშვნელოვან დაძაბვას, დიდ გამძლეობას და ა. შ. ეს თვისებები კი მოზარდს გამოუმუშავდება შედარებით გვიან.

ბავშვებს ხშირად იტაცებს ჭიდაობა ლამაზი ტექნიკური ილეთებით და როგორც ორთაბრძოლაში თავისი ძალის გამოცდის საშუალება. თუ ჭაბუკებს შევუზღუდავთ ჭიდაობის საშუალებას, მათ ამ სექციაში მეცადინეობის სურვილი უნელდებათ. ამ შემთხვევაში მწვრთნელს დიდ დახმარებას გაუწევს სპეციალური მოსამზადებელი ვარჯიში წყვილებისათვის. იგი საშუალებას გვაძლევს ბავშვები თანდათან ჩავაბათ სექციურ მუშაობაში, ეს კი ხელს უწყობს ბავშვების მრავალმხრივ ფიზიკურ განვითარებას, აჩვევს წყვილთა სპეციფიკურ მოქმედებას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჭიდაობის ტექნიკური ილეთების შემდგომ ათვისებაში.

ასეთი მოსამზადებელი ვარჯიში მრავალია: თანამოვარჯიშის წინააღმდეგობის დაძლევა, ვარჯიში პარტნიორისა და საკუთარი წონის დაძლევაზე, კოტრიალები და გადაბრუნებები, კომბინირებული ვარჯიშები და სხვ. მაგრამ ეს ვარჯიშები ჯერ კიდევ არასაკმარისადაა გამოყენებული საერთოდ და კერძოდ ჭაბუკებთან და ბავშვებთან მუშაობისას. ისინი არც ჭიდაობის სახელმძღვანელოებშია სათანადოდ აღწერილი.

მაგალითისათვის მოგვყავს რამდენიმე ვარჯიში.

მოყვანილი ვარჯიშები მეტად სასარგებლოა. ისინი დამწყებ მოჭიდავეებს გამოუმუშავებენ სპეციფიკურ ძალას, მოქნილობას, გამბედაობას, სისწრაფეს, მოჭიდავე ეჩვევა მოქმედებას მოწინააღმდეგის წონასთან, შეიგრძნობს მის მოძრაობებს, ეჩვევა ორიენტირებას უსაყრდენო და შეუჩვეველი დაყრდნობის ფაზაში. სხვა სიტყვებით — მათ გამოუმუშავდებათ ორიენტირების გრძნობა სხვადასხვა დინამიკურ სიტუაციაში. იმის გამო, რომ მათი დოზირება მრავალგვარია — ვარჯიშების სიძნელის, გამეორების, რაოდენობის ინტენსიურობის, მოწინააღმდეგის წონის ცვალებადობის და სხვ. მიხედვით, ისინი ადვილად მისაღწევია დამწყებისათვის. გამოუმუშავებს მათ საკუთარი ძალის რწმენას და უღვივებს სექციაში მეცადინეობის ინტერესს.

დაბოლოს ეს ვარჯიშები შეიძლება ჩატარდეს სპეციალური საჭიდაო ხალიჩის გარეშეც და ხელს უწყობს ჭიდაობაში საწვრთნელი გაკვეთილის სიმკვრივეს.

ამ ვარჯიშების მეოხებით საწვრთნელი ვარჯიშები უფრო შინაარსიანი და საინტერესო ხდება.

გ. ვარძელაშვილი,
ფიზკულტურის ინსტიტუტის მასწავლებელი.



ყირამალა მოწინააღმდეგის თავს ზემოდან. ვარჯიში სასარგებლოა მოუჩვეველი დაყრდნობის ფაზაში ორიენტირებისათვის.



ვარჯიში საკუთარი წონის დაძლევაზე. ანვითარებს მუცლის კუნთებს.



წინკოტრიალი პარტნიორთან ერთად. ვარჯიში მოქნილობის გამომუშავებისათვის.



ვარჯიში პარტნიორის წონის დაძლევაზე. ძირითადად ანვითარებს ზურგის კუნთების ძალას, მოქნილობას, ხელს უწყობს ხიდურზე გადატანის შესწავლას.



ვარჯიში მოქნილობის გამომუშავებაზე. ამაგრებს კისრის კუნთებს და ხელს უწყობს ხიდურიდან წასვლის შესწავლას

XXI ჩემპიონატი

მეცხრე ტურში ახალგაზრდა ოსტატმა კორჩნოიმ 32-ე სვლაზე დაამარცხა სოკოლსკი. გროსმაისტერმა ტაიმანოვმა, რომელმაც რვა პარტიიდან შვიდი ყაიმით დაამთავრა, სუეტინთან შეხვედრაში მეორე გამარჯვება მოიპოვა. გელერმა დაამარცხა რაგოზინი, ხოლო ილივიცკიმ — შამკოვიჩი.

პეტროსიან-ლისიცინისა და ლილიენტალ-ხოლმოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

დანარჩენი პარტიები გადადებულია.

მე-10 ტურით დასრულდა შეჯიბრების პირველი ნახევარი. ამ დღეს ყველა პარტია მწვავე ბრძოლით აღინიშნა. ოსტატმა სუეტინმა მოუგო ბივშევს, ხოლო ხოლმოვ-პეტროსიანი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადადებულია.

მეთერთმეტე ტურში პირველი გამარჯვება მოიპოვა გროსმაისტერმა ფლორმა, რომელმაც დაამარცხა ლივშინი. ლისიცინმა მოუგო სუეტინს. პეტროსიან-ავერბახის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

მეთორმეტე ტურში კორჩნოიმ დაამარცხა ბანიკი. გროსმაისტერმა ლილიენტალმა წააგო გელერთან, ხოლო ბორისენკომ — ხოლმოვთან. სუეტინ-პეტროსიანი და ფლორ-ილივიცკი ყაიმზე შეთანხმდნენ.

თორმეტი ტურის შემდეგ ლიდერია ვ. კორჩნოი, რომელსაც 8,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ხოლო გროსმაისტერ ი. ავერბახს 8 ქულა და ერთი დაუმთავრებელი პარტია.

როდის გახსნიან საჭადრაკო კლუბს?

ჭადრაკი დიდი პოპულარობით სარგებლობს სამხრეთ ოსეთის ახალგაზრდობაში. ბევრს სურს კარგად დაეუფლოს ჭადრაკის თამაშს, გაეცნოს ჩვენი ქვეყნის მოჭადრაკეთა გამოცდილებას. სამწუხაროდ, ამ საქმეში არ იგრძნობა სტალინირის კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების დახმარება.

სტალინირში საჭადრაკო სპორტის ჩამორჩენის მთავარი მიზეზია საჭადრაკო კლუბის უქონლობა. სტალინირის 1953 წლის პირველობა მიმდინარეობდა „სტალინირტორგის“ დარბაზში, მაგრამ მალე დარბაზში მოჭადრაკეები აღარ შეუშვეს და... პირველობა დღესაც დაუმთავრებელია.

არავითარი მუშაობა არ წარმოებს მოსწავლეთა შორის ჭადრაკის სპორტის დანერგვისათვის. გარდა იმისა, რომ 1949 წლიდან არ ჩატარებულა მოსწავლეთა საოლქო პირველობა, დღემდე სკოლებში არაა ჩამოყალიბებული ჭადრაკის შემსწავლელთა წრეები.

წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ სტალინირში არასოდეს არ გამართულა ქალაქის თუ ოლქის ქალთა პირველობა.

სანამ გაგრძელდება ჭადრაკის უგულებელყოფა სამხრეთ ოსეთში? როდის გაიხსნება სტალინირში საჭადრაკო კლუბი?

ვ. კასრაძე,
გ. ჯალაგაძე.

მოსწავლეთა არდადეგების პერიოდში, თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყო დედაქალაქის მოსწავლე-გოგონათა პირველობა. **ს უ რ ა თ ზ ე**: თბილისის 1954 წ. მოსწავლეთა პირველობაში გამარჯვებულნი მ. ლოლიშვილი (მარცხნივ) და მ. სტატნიკოვა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა

როგორ ვემზადები შეჯიბრებისათვის

ასეთი სათაურით ჟურნალმა „ვსემირნიე სტუდენჩესკიე ნოვოსტიმ“ დაბეჭდა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის, საბჭოთა გროსმაისტერის მიხეილ ბოტვინიკის წერილი, რომელშიც სახელოვანი მოჭადრაკე მკითხველებს მოუთხრობს, თუ რა მეთოდებს იყენებს იგი შეჯიბრებებისათვის მზადებისას და როგორ სრულყოფს თავის ოსტატობას ჭადრაკის დარგში.

მსოფლიო ჩემპიონი წერს: „მართალი გითხრათ, ეს საკითხები არასდროს არ გამიხდია საიდუმლოებად და ისინი არაერთგზის გამიშუქებია პრესაში.

ტურნირში გამოსვლის წინ სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს ჯანმრთელობას, ვინაიდან მხოლოდ კარგი ფიზიკური მდგომარეობის პირობებში შეიძლება ვიქონიოთ სპორტული წარმატების მიღწევის იმედი. ტურნირის წინ ყველაზე კარგია 15-20 დღე გაატარო სუფთა ჰაერზე, ქალაქგარეთ. მოჭადრაკისათვის მეტად სასარგებლოა მისდიოს სპორტსა და ფიზიკურ კულტურას. ძნელი საჭადრაკო გამოცდისათვის ნერვული სისტემის კარგად მომზადებისათვის პირველყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს სძილის წრთობას.

რასაკვირველია, ფიზიკურ ვარჯიშთა არჩევა დამოკიდებულია მოჭადრაკის ინდივიდუალურ თავისებურებებსა და ჩვევებზე, საერთოდ კი მეტად სასარგებლოა დილის გამამხნევებელი ტანვარჯიში, ქვეითად ან თხილამურებით სეირნობა, ციგურებით სრიალი, ფრენბურთისა და ჩოგბურთის თამაში“.

ეხება რა შეჯიბრებისათვის უშუალო საჭადრაკო მომზადებას, ბოტვინიკი იძლევა მთელ რიგ საგულისხმო რჩევა-დარიგებებს.

„თვითეული საბჭოთა გროსმაისტერი ან ოსტატი, — წერს მ. ბოტვინიკი, — უშუალო საჭადრაკო მზადებას იწყებს სათანადო ლიტერატურის გადათვალიერებით. საჭიროა გავეცნოთ ახალ საინტერესო პარტიებს, გავაკეთოთ შენიშვნები ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე და ამასთან ერთად გავარჩიოთ მომავალი მოწინააღმდეგეების ყველა პარტია. უნდა შევისწავლოთ მათი თამაშის თავისებურება, მათი საყვარელი სადებიუტო ვარიანტები. ეს გამოგვადგება თვითეული სატურნირო შეხვედრისათვის მზადებისას.

შემდეგ საჭიროა ხელი მოვკიდოთ მომავალ შეჯიბრებაში გამოსაყენებელი სადებიუტო სისტემის მომზადებას. ერთი ტურნირისათვის საესებით საკმარისია 3-4 სადებიუტო სისტემა თეთრებისათვის და ამდენივე სისტემა შავებისათვის, მხოლოდ ამ შემთხვევაში, როგორც წესი, მოჭადრაკემ შეიძლება იმედი იქონიოს, რომ კარგ შედეგს მიაღწევს“.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ჩემპიონი პარტიების მარტო ანალიზურ დამუშავებას საკმაოდ არ თვლის და მოითხოვს, რომ ისინი უსათუოდ იქნან შემოწმებული პრაქტიკულად — საწვრთნელ პარტიებში.

„საწვრთნელი პარტიების თამაშისას მოჭადრაკე უნდა ფიქრობდეს აგრეთვე თავისი სპორტული ნაკლოვანებების შესახებ (მაგალითად, სვლების მოფიქრებისათვის დროის არასწორად განაწილება) და ზომები მიიღოს ამ ნაკლოვანებათა დასაძლევად.

შეჯიბრებამდე დაახლოებით ხუთი დღით ადრე მიზანშეწონილია საერთოდ შეწყდეს ყოველგვარი მეცადინეობა ჭადრაკში. საჭიროა დასვენება და, თუ შეიძლება ასე ითქვას, საჭადრაკო დაფასთან ბრძოლის სურვილის გაღვივება. ასეთია საჭადრაკო ბრძოლებისათვის მომზადების მეთოდები, რომლებსაც ჩვეულებრივად იყენებენ საბჭოთა ოსტატები“.

დასასრულ, მსოფლიო ჩემპიონი აღნიშნავს, რომ იგი დიდი ინტერესით ემზადება მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაცვისათვის.

დ. ჩირაძე—ქალაქის ჩემპიონი

ქუთაისის პირველობა ჭადრაკში

გასული წლის დეკემბერში ქუთაისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყო ქუთაისის საქალაქო პირველობა ჭადრაკში. შეჯიბრებაზე თავი მოიყარა ქალაქის თერთმეტმა პირველთანრიგოსანმა მოჭადრაკემ. ტურნირში კონკურსგარეშე მონაწილეობდა აგრეთვე ოსტატობის კანდიდატი თ. გიორგაძე.

ტურნირი შინაარსიანად და დაძაბულად მიმდინარეობდა. ახალგაზრდა მოჭადრაკეები ზ. გოგოლაშვილი, ჯ. რობაქიძე და ა. რაზოვსკი კომბინაციური თამაშით აცხოველებდნენ პირველობისათვის ბრძოლას.

ქუთაისის ჩემპიონის სახელი დამსახურებულად მოიპოვა დ. ჩირაძემ (7,5 ქულა). შემდეგ ადგილებზე გამოვიდნენ ა. რაზოვსკი, ნ. ჯახუა, ზ. გოგოლაშვილი, ნ. გაბუნია, ზ. ესაიაშვილი და ა. შ.

საერთოდ დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას ტოვებს ქუთაისელ მოჭადრაკეთა თამაში. ქალაქის ჩემპიონი დ. ჩირაძე საჭადრაკო თეორიის კარგი მცოდნეა. მაგრამ მას აკლია სწრაფვა რთულ კომბინაციურ თამაშისაკენ. იგი პიონერთა სახლში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ახალგაზრდა მოჭადრაკეთა აღზრდისათვის, მის მიერ აღზრდილნი ა. რაზოვსკი, ზ. გოგოლაშვილი, ჯ. კარჩხაძე და ჯ. რობაქიძე მასთან ერთად იბრძოდნენ ჩემპიონობისათვის.

ა. რაზოვსკი უდავოდ მზარდი ახალგაზრდაა. მას ისე, როგორც სხვა ქუთაისელ მოჭადრაკეებს სჭირდება პრაქტიკა. ნ. ჯახუა მახვილი გონების მოჭადრაკეა, მაგრამ ზერელედ ეკიდება პოზიციის შეფასებას. ზ. ესაიაშვილი არ მუშაობს თავის თავზე, იმ დროს როცა მას კარგი მონაცემები აქვს. კომბინაციური თამაშის მოყვარულია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი ზ. გოგოლაშვილი. მაგრამ ჩქარობს, ნერვიულობს, ზედმეტად განიცდის პარტიის შედეგს. ტურნირის დანარჩენი მონაწილენი, როგორც ჩანს ნაკლებად ეცნობიან საჭადრაკო ლიტერატურას და იშვიათად თამაშობენ სერიოზულ პარტიებს.

პირველობა, რომელსაც სჯიდა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ს. გრიგოლია, ორგანიზებულად დამთავრდა.

ქუთაისის საჭადრაკო კლუბში ყველაფერი რიგზე არაა. არ არის შედგენილი სამუშაო გეგმა, არ წარმოებს ჩატარებულ ღონისძიებათა და კლუბის წევრთა აღრიცხვა. კლუბს გააჩნია კარგი სადემონსტრაციო დაფები, მაგრამ იგი პირველობის დროს გამოუყენებელი იყო.

საჭიროა ქალაქის ფიზკულტურისა და სპორტის სექტორმა მეტი ყურადღება მიაქციოს ქუთაისის საჭადრაკო კლუბის მუშაობას.

ა. ინესაშვილი

სპორტული ცხოვრება

«მედიკი»

ამ დღეებში „პიშჩევიკის“ სპორტულ დარბაზში დამთავრდა „მედიკის“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პირველობა სიმძიმეთა აწევაში.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ ნ. ინჯია, შ. წერეთელი, გ. ფირანიშვილი, დ. კაპცოვი (ყველა ფიზკულტურის ტექნიკუმიდან), აფხაზეთის წარმომადგენლები ს. კილაბერია და ა. არუთინიანი, აგრეთვე ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენი გ. ასტვაცატუროვი.

გუნდური პირველობა მოიპოვეს თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმის სპორტსმენებმა.

«შრომითი რეზერვები»

ლენინგრადში დამთავრდა „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს 1954 წლის პირველობის გათამაშება მძლეოსნობაში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის საქართველოს, აზერბაიჯანის, ესტონეთისა და სხვათა თერთმეტი კოლექტივი.

გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს ლენინგრადის სპორტსმენებმა, მეორეზეა აზერბაიჯანის, მესამეზე — მოსკოვის ოლქის ფიზკულტურელები, საქართველოს გუნდი მეხუთე ადგილზე გამოვიდა.

პირად პირველობაში ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილი, მეორე სახელოსნო სასწავლებლის აღსაზრდელი კობაიძე ჩემპიონი გახდა ჭოკით ხტომაში, ხოლო სიმაღლეზე ხტომაში მე-11 სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლე ე. ბერიევი.

«ისკრა»

დამთავრდა „ისკრის“ რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, გორის, სუხუმის, ქუთაისისა და ბათუმის გუნდები.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ა. ხაჩატუროვმა (თბილისი), ი. ტყემელაშვილმა (გორი), ბ. ზარქუამ (სუხუმი), ა. ბეროზაშვილმა (თბილისი), შ. ვაჩეიშვილმა (გორი), გ. ხიდაშელმა (თბილისი), რ. ბერძულიშვილმა (გორი), სპორტის ოსტატებმა ვ. მაისურაძემ და შ. მდინარაძემ (ორივე თბილისი).

გუნდური პირველი ადგილი დაიკავა თბილისის მოჭიდავეთა კოლექტივმა.

თ. დაუშვილი.

სასკოლო შეჯიბრება

ამიერკავკასიის რკინიგზის ოჩამჩირის 27-ე საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზში დამთავრდა მოსწავლეთა პირველობა ჭადრაკსა და ფრენბურთში.

ჭადრაკში პირველი ადგილი და სკოლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა X კლასის მოსწავლემ მ. ბასილაიამ, მეორე ადგილზე გამოვიდა მეცხრეკლასელი ჯ. გვარამია.

ფრენბურთში პირველობისათვის 6 გუნდი იბრძოდა. შეჯიბრება მეათეკლასელთა გამარჯვებით დამთავრდა. მეორე ადგილზე გამოვიდა IX კლასის ფრენბურთელთა გუნდი.

ვ. დოხნაძე

მოსწავლეთა ჩემპიონატი

წალენჯიხაში დამთავრდა მოსწავლეთა რაიონის პირველობა ჭადრაკში. ჭაბუკებს შორის ჩემპიონის სახელი მოიპოვა წალენჯიხის საშუალო სკოლის XI კლასელმა მ. ზარქუამ, რომელმაც 15,5 ქულა დააგროვა 17 შესაძლებლიდან, გოგონათა შორის გაიმარჯვა მოსწავლე ი. ჭანტურიძემ.

გამარჯვებულებს გადაეცათ საჩუქრები.

შ. ლემონჯავა

ტანდემი

40-45 წლის წინათ ჩვენს ქვეყანაში ველოსიპედისტები ხშირად მართავდნენ რბოლას ტანდემებით (ორადგილიანი ველოსიპედით), როგორც სალიდერო შეჯიბრებას. შემდგომში ტანდემი შეცვალა მოტოციკლმა და მან დაუმსახურებლად დაჰკარგა დამოუკიდებელი შეჯიბრების სახე. რბოლა ტანდემებით მეტად საინტერესო სანახაობაა და გარდა ამისა, მისი გამოყენება წარმატებით შეიძლება ტურისტული მიზნით.

ამ ზაფხულს საბჭოთა ველოსიპედისტებთან ამხანაგური საერთაშორისო შეჯიბრების ჩასატარებლად ჩამოვიდნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ველოსიპედისტები. მათ თან ჩამოიტანეს ორადგილიანი ველოსიპედი — ტანდემი. ორი ველოსიპედისტის შეთანხმებული მოქმედება ტანდემს აძლევს უდიდეს სისწრაფეს. იგი მაშინ გამოსცადეს სსრ კავშირის უძლიერესმა ველოსიპედისტებმა ე. გრიშინმა და ო. დადუნაშვილმა. ორივე თავიდანვე კარგად შეეგუა ახალ მანქანას და წარმატებით ჩაატარეს რამდენიმე ვარჯიში.

ამჟამად ტანდემი შეიძინეს თბილისის ველოსიპედისტებმაც. სარგებლობენ რა თბილი ამინდებით, ისინი ხშირად გამოდიან ტრეკზე და ვარჯიშობენ ღია ცის ქვეშ.

ტანდემით ვარჯიშს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, ვინაიდან იგი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შედის.

სურათზე: სპორტის ოსტატები ო. დადუნაშვილი და ა. ხაბურზანია ვარჯიშობენ ორადგილიანი ველოსიპედით — ტანდემით თბილისის ტრეკზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

მიღება ჩეხოსლოვაკიის, ფინეთისა და პოლონეთის მოთხილამურეთა პატივსაცემად

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის მთავარმა სამმართველომ სვერდლოვსკში მოაწყო მიღება მოთხილამურეთა საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრაში მონაწილე ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა პატივსაცემად. მიღებას ესწრებოდნენ აგრეთვე სვერდლოვსკის საზოგადოებრივი და სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლები, კულტურის მოღვაწეები და ჟურნალისტები.

შეჯიბრების მონაწილეებს მიესალმა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ა. კრივცოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ ასპარეზობა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მეგობრობას.

მიღებაზე გამოვიდნენ აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის წარმომადგენელი ვ. პაცლი, პოლონეთის დელეგაციის ხელმძღვანელი კ. მალჩევსკი და ფინეთის მოთხილამურეთა ლიგის თავმჯდომარე ი. კალონიემი.

სპორტული ქრონიკა

თელავის „[illegible]“ [illegible] საქალაქო პირ[illegible] 16 სპორტსმენი მონაწილეობდა. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს ტ. აჩუაშვილმა, გ. საამოვმა, გ. ყურაშიძემ, მ. ჯანგულაშვილმა, ზ. გონგაძემ. მძიმე და ქვემძიმე წონაში შეჯიბრება არ ჩატარებულა. 5-მა მონაწილემ შეასრულა III თანრიგის ნორმა.

ა. სახიევი

• • •

გაგრის სტადიონზე ჩატარდა სუხუმისა და გაგრის მოსწავლე-ფეხბურთელთა ამხანაგური შეხვედრა. პირველი ნახევარი დამთავრდა სტუმრების სასარგებლოდ — 3:2. შესვენების შემდეგ მოწინააღმდეგეება მხოლოდ თითო ბურთის გატანა შეძლეს და შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 4:3.

შ. ლომინაძე

ენერგიულად მუშაობენ

ჩოხატაურის სპორტულ სკოლაში შექმნილია სპორტის 8 სხვადასხვა სახეობის 12 ჯგუფი, რომლებშიც 100-ზე მეტი მოსწავლეა გაერთიანებული. კარგად მუშაობენ კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთისა და ტანვარჯიშის სექციები. სწავლასთან ერთად სპორტს წარმატებით ეუფლებიან ნორჩი სპორტსმენები: ზ. ძნელაძე, ო. მეჩეხია, ბ. კუჭავა, გ. დოლიძე, ა. ბენდელიანი, გ. თავბერიძე, ლ. მოქერია, ბ. რამიშვილი და სხვები.

სკოლა უზრუნველყოფილია სპორტული იარაღებით. მარტო მიმდინარე სასწავლო წელს შეძენილ იქნა 4.000 მანეთის სპორტული ინვენტარი. დარბაზს გაუკეთდა რემონტი.

გ. ახალაია

თეატრის პირველობაზე

მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის ფიზკულტურის ძირეულმა საბჭომ ორ წრედ ჩაატარა საშაშო ტურნირი. მონაწილეობდა 16 კაცი.

შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა მსახიობმა დ. ცხაკაიამ, რომელმაც 30 შესაძლებლიდან 27 ქულა მოაგროვა. მეორე და მესამე ადგილი გაინაწილეს მსახიობმა დ. მდივნიშვილმა და პედაგოგმა რ. ტურაბოვმა.

ს. რუსია

I

თანამედროვე ხუთჭიდი

თანამედროვე ხუთჭიდი სპორტის კომპლექსური სახეობაა. იგი მეტად რთულია და სპორტსმენისაგან მოითხოვს მრავალმხრივ მომზადებას, მაღალ მორალურ გამოწრთობას, დიდ გამძლეობას.

ჩვენს რესპუბლიკაში თანამედროვე ხუთჭიდი განვითარების მხრივ ჩამორჩება სპორტის სხვა სახეობებს. ცოტაა სექციები და მასში მომეცადინეთა რაოდენობა, ამიტომ საჭიროა მისი ფართოდ დანერგვა, სექციების ჩამოყალიბება, ახალგაზრდა, ნიჭიერი სპორტსმენების მიზიდვა, შეჯიბრებების ხშირად მოწყობა.

რედაქციას განზრახული აქვს გამოაქვეყნოს რამდენიმე წერილი თანამედროვე ხუთჭიდის შესახებ.

თანამედროვე ხუთჭიდის იდეა ასე წარმოიშვა: სამხედრო ოპერაციის დროს მეთაურმა მიიღო საბრძოლო დავალება — რადაც უნდა დაუჯდეს გადალახოს სახიფათო ზონა, ცეცხლის ხაზი და ნაწილში მიიტანოს მეტად საჭირო ცნობა. უცნობ, დასერილ მიდამოს მეთაური გადალახავს მისთვის უცნობი ნადავლი ცხენით, გზაში შეეფეთება მოწინააღმდეგის ჯგუფს, რომელსაც ხელჩართულ ბრძოლას უმართავს ჯერ დაშნით, მერე პისტოლეტით. ამის შემდეგ იგი გადასცურავს მდინარეს, რბენით გაივლის ძნელსავალ, დასერილ გზას და ცნობას მიიტანს ნაწილში.

ეს მეტად საინტერესო და რთული კომპლექსი, რომელსაც ამჟამად თანამედროვე ხუთჭიდს უწოდებენ, პირველად 1912 წელს იქნა შეტანილი სტოკჰოლმის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. მაშინ მასში მონაწილეობდნენ მხოლოდ ოფიცრები. შემდგომში განუზომლად ამაღლდა ტექნიკური მაჩვენებლები ხუთჭიდის ცალკეულ სახეობებში (დოღი, ფარიკაობა, სროლა, ცურვა, კროსი), დიდად გაიზარდა მისდამი ინტერესი და შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების უფლება მიეცა ყველა მსურველს. 1948 წელს მე-14 ოლიმპიური თამაშების დროს ჩამოყალიბდა ხუთჭიდის საერთაშორისო კავშირი (უიპ) და კომპლექსს ეწოდა „თანამედროვე ხუთჭიდი“. გარდა ამისა, შეიქმნა ხუთჭიდის საზამთრო კომპლექსიც, რომელშიც შედის დოღი, ფარიკაობა, სროლა, სწრაფდაშვება თხილამურებით და სათხილამურო რბოლა.

თანამედროვე ხუთჭიდი ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანი არაა, რაც კულტივირებულია. პირველ შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ სპორტსმენები, რომელთაც ძირითადი კვალიფიკაცია ცალკეულ სახეობებში ჰქონდათ, შემდგომში ხუთჭიდელები თანაბრად დაოსტატდნენ ხუთივე სახეობაში, ვინაიდან უამისოდ შეუძლებელი გახდა ნამდვილი წარმატების მოპოვება.

XV ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა ხუთჭიდელებმა კარგ შედეგებს მიაღწიეს. კერძოდ, ახალგაზრდა სპორტსმენმა ი. ნოვიკოვმა აჯობა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს და მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულში დაიკავა ადგილი. ეს შეჯიბრება ჩატარდა ფინეთის პატარა ქალაქ ჰამეენლინაში.

თანამედროვე ხუთჭიდში ოლიმპიური შეჯიბრება დოღით დაიწყო. დისტანცია 5.000 მეტრი, დროის ნორმა — 10 წუთი და 32 წამი. რთული ტრასა კარგად გაიარა საბჭოთა კავშირის გუნდის წევრმა რაკიტიანსკიმ და აჩვენა შედეგი 10:13,5. მეორე დღეს გაიმართა ბრძოლები საფარიკაო ბილიკებზე. საბჭოთა კავშირის გუნდი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების ხუთჭიდელთა გუნდს. ბოლო წყვილის შეხვედრის წინ ანგარიში იყო 4:4. მეტად დაძაბული გამოდგა გადამწყვეტი წყვილის ბრძოლა. ოთხი წუთის განმავლობაში მოწინააღმდეგეთაგან ვერცერთმა ვერ შეძლო ჩხვლეტის მიყენება. ორივე ყურადღებით ელოდა მოწინააღმდეგის მიერ შეცდომის დაშვებას. ბოლოს, ამერიკელის ნერვებმა ვერ გაუძლო ამ ორთაბრძოლას და იგი შეტევაზე გადავიდა. ნოვიკოვმა ოსტატურად მოიგერია იერიში და ზუსტი ჩხვლეტა მიაყენა მეტოქეს. გაიმარჯვა საბჭოთა გუნდმა. მესამე დღეს პისტოლეტით სროლაში ი. ნოვიკოვმა კვლავ მიაღწია წარმატებას, მან დააგროვა 187 ქულა და საერთო მესამე ადგილზე გამოვიდა. 300 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვაში (მეოთხე დღე) ნოვიკოვმა აჩვენა 4:16,9. ბოლო დღეს ხუთჭიდელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 4 კილომეტრიან კროსში. დისტანცია მეტად რთული იყო—სპორტსმენებს გზაში ხვდებოდათ დიდი აღმართები, ტყე, ჭაობიანი ადგილები. საბჭოთა სპორტსმენებს შორის კროსში ყველაზე უკეთესი შედეგი აჩვენა დეხაევმა — 15:06,7. პირველი ძნელი გამოცდა ჩვენი ქვეყნის ხუთჭიდელებმა წარმატებით ჩააბარეს.

განვიხილოთ რას წარმოადგენს ხუთჭიდის ცალკეული სახეობა.

ცხენოსნობა. იგი სპორტსმენისაგან უპირველეს ყოვლისა მოითხოვს უცნობი ცხენის უნარიან, თამამ მართვას. წესების მიხედვით მონაწილეს ცხენი კენჭისყრით ეძლევა შეჯიბრების დაწყებამდე 15 წუთით ადრე. გარდა იმისა, რომ მონაწილე არ იცნობს ცხენს, მისთვის უცნობია მარშრუტიც, იგი მას ეცნობა ერთი დღეღამით ადრე სტარტამდე. დისტანციის მოულოდნელ პუნქტებში განლაგებულია სხვადასხვა სახის ხ ლოვნური წინაღობები. მანძილი უ და დაფარულ იქნას წინასწარ და სებულ დროში. ყველაფერი ეს მხ დრისაგან მოითხოვს გამბედაობ ძალას, ნებისყოფას, კარგ ორიენტ რებას.

ფარიკაობა დაშნით ტარდება წრ ული სისტემით, ერთ ჩხვლეტამ ყოველი ბრძოლის ხანგრძლივო 5 წუთია. თუ ამ დროის მანძილ ვერცერთმა მოწინააღმდეგემ ვე მიაყენა ჩხვლეტა, ორივეს დამარ ება ეთვლება. ბრძოლის ფორმულ (წრიული სისტემა ერთ ჩხვლეტა სპორტსმენისაგან მოითხოვს ფა კაობის მაღალ ტექნიკას, სრულ ფილ ტაქტიკას, ზუსტ და შეუცდ მელ მოქმედებას.

სროლა პისტოლეტით ხუთჭიდ ერთ-ერთი რთული სახეობაა. მხ ლოდ ნებისყოფისა და გამძლეობ მქონე სპორტსმენს, რომელსაც აქ ყურადღების მაქსიმალური კონცენ რაციის უნარი, შეუძლია წარმატ ბას მიაღწიოს ამ სახეობაში. გარ ამისა, დროის ლიმიტი — ყოვე გასროლაზე 3 წამი საჭიროებს სრ ლის ტექნიკის ავტომატიზმამ სრულყოფას.

ცურვა და რბენა სპორტის ის სახეობებია, რომლებშიც წარმატ ბის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ლი ფიზიკური მომზადებით, ს ტემატური წვრთნით, ტექნიკისა ტაქტიკის დაუღალავი სრულყოფ

რედაქტორი ი. უზულავ

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“. ტელეფონები:
რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00918